საქართველო

37306-01-2-201510021554

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/37306
02/10/2015

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 13 მაისს ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის მიზნით, გიგზავნით, ზემოაღნიშნული შეთანხმების ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი და ბერძნულენოვანი ორიგინალების ასლებს, განმარტებით ბარათს, შეთანხმების ფურცელსა და კომპეტენტური უწყებების დასკვნებს.

ზემოაღნიშნული შეთანხმების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი:

- შეთანხმების ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი და ბერძნულენოვანი ორიგინალების ასლები;
- უწყებების დასკვნები;
- განმარტებითი ბარათი;
- შეთანხმების ფურცელი.

(ჯამი: 74 ფურცელი).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 66185
5-10-2015
75 ფურცელი

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 05-01/16758 „8" 11 2010

თქვენს № _____

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

გიგზავნით „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების პარაფირებულ ტექსტს, აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით უწყებების მიერ წარმოდგენილ დასკვნების ორიგინალებს, ფინანსთა სამინისტროს დასკვნას, შენიშვნების განხილვის შედეგების ცხრილს (შეთანხმების ფურცელი) და განმარტებით ბარათს ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

გთხოვთ მოამზადოთ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი "საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონ ვლადიმერ კონსტანტინიდისათვის ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

დანართი „93" გვ.

რუსუდან კემულარია

მინისტრის მოადგილე

№ 14740/2-01
9 11 10
1193

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 261412, ფაქსი: 262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 261412, Fax: 262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 05-01/ „8" 11 2010

თქვენს № _____

დასკვნა

„საქართველოს მთავრობასა და
კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის
შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და
გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის"
შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური კავშირების გაფართოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებების დადება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები.

აღნიშნული შეთანხმების გაფორმების რიგითობის განსაზღვრის დროს საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს კვიპროსის რესპუბლიკა.

შეთანხმების გაფორმება საქართველოსთვის არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს და საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თვლის, რომ „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის" შესახებ შეთანხმების პროექტი შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს. მასში გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გაფორმება.

რუსუდან კემულარია

მინისტრის მოადგილე

ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.: 261412, ფაქსი: 262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 261412, Fax: 262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 05/105597
07/10/2015

105597-05-2-201510071553

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 13 მაისს „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენნი და მომხსენებლები იქნებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბატონი ლაშა ხუციშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბატონი გიორგი კაკაურიძე.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409, ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველო

39150-01-2-201510190950

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/39150
19/10/2015

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 2 ოქტომბრის N01/37306 წერილზე დამატებით, გაცნობებთ, რომ „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, მომხსენებლებად განისაზღვრონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ბატონი ლაშა ხუციშვილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ბატონი გიორგი კაკაურიძე.

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 2/15467-14
„15" 10 2010

20.10.2010

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

22.10.2010

თქვენი მიმდინარე წლის 20 სექტემბრის N05-02/13976 წერილის პასუხად, გიგზავნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" პროექტის თაობაზე.

დანართი: 1 ფურცელი

ირაკლი გივიაშვილი
საერთაშორისო სამართლებრივი
დეპარტამენტის დირექტორი

საქართველოს ... სამინისტრო
№ 25524/1
14 10 2010 წ.
ფურცლის რაოდენობა 2

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი; (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

საქართველო

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 6 66/14
„15" 10 2010

დასკვნა

„საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" პროექტის თაობაზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების" პროექტი და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული შეთანხმების დადება.

ნინო კალანდაძე
მინისტრის მოადგილე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA0103884634510

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 40-58-31, ფაქსი: 40-58-86, ელ.ფოსტა: admindep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 40-58-31, Fax: 40-58-86, E-MAIL: admindep@justice.gov.ge

№1950

27 / სექტემბერი / 2010 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 23643
28 09 2010
ფურცლის რაოდენობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ ამა წლის 20 სექტემბრის №05-02/13978 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების პარაფირებული ტექსტი და გაცნობებთ შემდეგს:

შეთანხმების მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ტერმინი „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები" შეესაბამება „ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თვითმმართველ ერთეულებს.

შეთანხმების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „d" ქვეპუნქტის ტერმინ „პირი"-ს განმარტებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული დებულებები. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „კომპანია" „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით არ არის გათვალისწინებული,ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ტერმინი „კომპანია" განმარტებულია, როგორც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი წარმონაქმნი.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის „f" ქვეპუნქტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად საქართველოს საწარმოდ ითვლება საწარმო, რომლის საქმიანობის ან/და მართვის ადგილი საქართველოშია.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის „g" ქვეპუნქტთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-15 ნაწილი, რომლის თანახმად, საერთაშორისო გადაზიდვა ნიშნავს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვასა თუ მგზავრებთა გადაყვანას და არა მხოლოდ საზღვაო გემით, თუ საჰაერო ხომალდით, როგორც ეს შეთანხმებითაა გათვალისწინებული.

შეთანხმების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი სამშენებლო მოედანს, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტს მიიჩნევს მუდმივ დაწესებულებასთან გათანაბრებულ ობიექტად მისი არსებობის დროის მიუხედავად.

შეთანხმების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ გასათვალისწინებელია, რომ საზღვაო

[illegible] საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ განიხილება, როგორც მოძრავი ნივთი, შესაბამისად, მასზე ვრცელდება უძრავი ნივთის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

შეთანხმების მე–10 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 195–ე მუხლი, რომლის შესაბამისად, საქართველოს საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის ან უცხოური საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 0–პროცენტიანი განაკვეთით.

აქვე გაცნობებთ, რომ რამდენადაც შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისგან განსხვავებულ წესებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე–2 მუხლის მე–7 ნაწილისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–14 მუხლის მე–2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შეთანხმება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,
მინისტრის პირველი მოადგილე

თინა ბურჯალიანი

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

№ 17/2647/3-10

"22" 09 2010 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2010 წლის 20 სექტემბრის № 05-02/13975 წერილით წარმოდგენილი "საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმების პარაფირებული ტექსტი და გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, მის მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

მინისტრის პირველი მოადგილე — აბესალომ კეკელია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 23857
30 09 2010 წ.
ფურცლის რაოდენობა

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi,Georgia

Tel.: (+995 32) 99 11 05; 99 11 11
Fax.: (+995 32) 92 15 34